



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე განხორციელებული ხმების პარალელური დათვლის შედეგები

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე, „სამართლიანმა არჩევნებმა“ განახორციელა წინასაარჩევნო პერიოდისა და არჩევნების დღის მონიტორინგი. წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგისა და არჩევნების დღეს ორგანიზაციის მიერ დაფიქსირდა ამომრჩეველზე, ორგანიზაციის წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებზე ზეწოლის ფაქტები. ორგანიზაციისთვის რთულია განსაზღვრა, უშუალოდ რა გავლენა იქონია ზეწოლის ფაქტებმა ხმების პარალელურ დათვლაზე.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ხარისხობრივი მონიტორინგის საფუძველზე, გამოვლინდა მნიშვნელოვანი ტენდენციები არჩევნების პროცესთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა და მაღალი აქტივობა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით. კერძოდ, დაფიქსირდა 100%-ზე მეტი აქტივობა;
2. რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით გაიზარდა სპეციალურ უბანთა და ამ უბნებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა. შესაბამისად გაიზარდა იმ უბანთა რაოდენობა რომლებზეც მიმაგრებულია სპეციალური უბნები;
3. იმ საარჩევნო უბნებზე სადაც დაითვალეს სპეციალური უბნების შედეგები ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ხმების უფრო მაღალი რაოდენობა.

„სამართლიანი არჩევნების“ შედეგები ეყრდნობა საქართველოს მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეულ 626 საარჩევნო უბნიდან მიღებულ და დამუშავებულ შემაჯამებელ ოქმებს. საარჩევნო უბნები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, რომელიც გვაძლევს ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობით სურათს. ხმების პარალელური დათვლის სტატისტიკური ცდომილებაა +/- 0.8 % ხოლო შერჩევის სიზუსტე 95 % -ია.

ამასთან, ორგანიზაციამ პირდაპირი დათვლის მეთოდით დათვალა ყველა იმ უბნის შედეგი, რომელზეც მიმაგრებული იყო სპეციალური უბანი.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ განხორციელებული ხმების პარალელური დათვლის შედეგად პროპორციული სისტემით 5%-იანი ბარიერი ოთხმა პოლიტიკურმა პარტიამ გადალახა. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:



სამართლიანი არჩევნები

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“ - **0.5 %**
2. საქართველოს რესპუბლიკური პარტია - **3.7%**
3. საარჩევნო ბლოკი „მემარჯვენე ალიანსი თოფაძე-მრეწველები (მ.გ.ს., ერთობა ე.დ.პ.)“- **0.9%**
4. „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - **7.4 %**
5. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველო“ - **59.2%**
6. პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი“ - **0.2%**
7. საარჩევნო ბლოკი გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო, მემარჯვენეები) - **17.7%**
8. „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული ნაციონალური პარტია“ - **0.2%**
9. პოლიტიკური გაერთიანება „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი (ქდა)“ - **0.9%**
10. გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები - **8.6%**
11. საარჩევნო ბლოკი „ტრადიციონალისტები - ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“ - **0.5%**
12. საქართველოს პოლიტიკური პარტია „ჩვენი ქვეყანა“ - **0.2%**

ამომრჩეველთა აქტივობა

12 საათისათვის	- 21.3%
17 საათისათვის	- 40.6%
საბოლოო	- 52.9%

პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოსა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ. ტექნიკური მხარდაჭერა უზრუნველყო საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნები“ და არ გამოხატავს ევროკავშირის, ეროვნული ღვაწლი დემოკრატიისათვის, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოსა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge